საცალო მომხმარებლის ელექროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის ინსტრუქცია

საცალო მომხმარებელი, რომელიც 2018 წლის შედეგების საფუძველზე აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის N144 დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვიტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 45-ე მუხლის შესაბამისად, 2019 წლის 01 მაისიდან, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის N144 დადგენილება ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის სავალდებულო კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე, ასევე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვიტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ შეგიძლიათ იხილოთ ესკოს ვებ-გვერდზე:

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის N144 დადგენილება - https://esco.ge/files/data/Legislation/Decree_N144_geo.pdf

2.„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ - https://esco.ge/files/data/Legislation/Market_rules_geo.pdf

1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენის ვადა: <u>არაუგვიანეს 2019 წლის 20 აპრილისა.</u>

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან წარსადგენი სარეგისტრაციო დოკუმენტები:

1. განაცხადი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის თაობაზე;

2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

3. ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების ქსელთან მიერთების არსებული აღწერილობა, საბალანსო გაყოფის წერტილების, სააღრიცხვის კვანძებისა და პარამეტრების მითითებით, ასევე ქსელთან მიერთების ცალხაზოვანი სქემა. წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც მიერთებულია მაძიებლის მფლობელობაში არსებული ქსელი;

4. საცალო მომხმარებლის სტატუსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ეს დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს განაწილების ლიცენზიატის მიერ);

5. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტარციის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ პირი წარმოადგენს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ საწარმოს).

3. რეგისტრაციის წესი:

ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაცია შესაძლებელია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ვებ-გვერდზე (www.esco.ge) არსებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით რეგისტრაციისათვის საჭიროა ავტორიზაციის გავლა. ავტორიზაციის გავლის შემდეგ, საწარმოს გაუჩნდება კაბინეტი. კაბინეტში, განაცხადების კატეგორიაში, ახალი განაცხადის მონიშვნის გრაფაში უნდა იქნეს არჩეული „ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი“. „ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი“ არჩევის შემდეგ, გაჩნდება ასატვირთი დოკუმენტების ჩამონათვალი, სადაც უნდა მოხდეს ზემოთ მითითებული დოკუმენტების ატვირთვა.